საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5496
21/09/2022

5496-21-2-202209211706

შპს „მიოილ"-ს
მის: მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფ. მისაქციელი
ელ. ფოსტა: mebagemebage@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №21124 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მისაქციელში ნავთობპროდუქტების საცავის (გაზგასამართი სადგურის) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

როგორც №21/4596 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „პროექტის შესახებ" თავში აღნიშნულია, რომ „გათვალისწინებულია როგორც ობიექტზე მისასვლელი, ისე შიდა საობიექტო სტანდარტული საავტომობილო გზები (სახანძრო ტექნიკის მისასვლელად)". ამასთან, 7.3 თავში (გვ. 13) მითითებულია, რომ „მთავარი გზიდან გაზის საცავამდე, გაყვანილია გრუნტის გზა". შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დამატებით მისასვლელი გზის მოწყობის საკითხი;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სახანძრო სატუმბის განთავსება (1 ერთეული მუშა და 1 ერთეული სათადარიგო), განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო ტუმბოების წარმადობები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილებების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადებების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო